რუსთაველის თეატრი
SHOTA RUSTAVELI STATE DRAMA THEATRE
William Shakespeare 450
გიორგი ალექსიძის სახელობის თანამედროვე ქორეოგრაფიის განვითარების ფონდი
GIORGI ALEKSIDZE FOUNDATION FOR THE DEVELOPMENT OF CONTEMPORARY CHOREOGRAPHY
SHAKESPEARE LOVE
შექსპირი · სიყვარული

## ACKNOWLEDGEMENTS

ON BEHALF OF GIORGI ALEKSIDZE FOUNDATION FOR THE DEVELOPMENT OF CONTEMPORARY CHOREOGRAPHY, WE OFFER OUR GRATITUDE TO

THE MINISTRY OF CULTURE AND MONUMENT PROTECTION OF GEORGIA

THE TBILISI CITY HALL'S CENTER OF CULTURAL EVENTS FOR FINANCIAL SUPPORT OF THE PROJECT

## WE THANK OUR PARTNERS:

GIORGI ALEKSIDZE
TBILISI CONTEMPORARY BALLET

GEORGIA NATIONAL
MUSIC CENTER

DIMITRI ALEKSIDZE AND
VLADIMER GABRIELASHVILI
AG LEGAL CONSULTING

ARDI INSURANCE COMPANY

SOUTH CAUCASUS
CONTEMPORARY DANCE FESTIVAL
IN TBILISI

## გიორგი ალექსიძის სახელობის თანამედროვე ქორეოგრაფიის განვითარების ფონდის სახელით, პროექტის ფინანსური მხარდაჭერისათვის მადლობას ვუხდით

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს

ქალაქ თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრს

## პარტნიორობისთვის მადლობას ვუხდით:

გიორგი ალექსიძის სახელობის თბილისის თანამედროვე ბალეტს

საქართველოს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრს

იურიდიულ კომპანიას „დიმიტრი ალექსიძე და ვლადიმერ გაბრიელაშვილი“

სადაზღვევო კომპანიას „არდი“

თანამედროვე ცეკვის სამხრეთკავკასიურ ფესტივალს თბილისში

რუსთაველის თეატრში ფონდის არაერთი სპექტაკლი დაიდგა,
რითაც რუსთაველის თეატრმა თავისი წვლილი შეიტანა
თანამედროვე ქორეოგრაფიის განვითარების საქმეში.
ამისათვის მადლობას მოვახსენებთ თეატრის ადმინისტრაციასა
და განსაკუთრებულად თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს
ბატონ **რობერტ სტურუას**

რუსთაველის თეატრი
RUSTAVELI THEATRE
2016

Many of the Foundation's productions have been staged at Rustaveli Theatre.
Rustaveli Theater has thus contributed to the development of contemporary choreography.
We thank the administration of Rustaveli Theater and especially its Artistic Director,
Mr. ROBERT STURUA

შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
გიორგი ალექსიძის სახელობის თანამედროვე ქორეოგრაფიის განვითარების ფონდი

400 შექსპირი 400

# შექსპირი. სიყვარული

ქორეოგრაფიული ფანტაზია

**სპექტაკლში გამოყენებულია შექსპირის სონეტების აუდიო ჩანაწერი**
**კითხულობენ ჯონ გილგუდი და ალან რიკმანი**
**სპექტაკლში ჟღერს მოცარტისა და კეიჯის მუსიკა. ჯონ კეიჯის კომპოზიციებს ასრულებს ნინო შვანია**

| | |
|---|---|
| ლიბრეტო | მარიამ ალექსიძისა და რობერტ სტურუასი |
| ქორეოგრაფი | მარიამ ალექსიძე |
| მხატვარი | ანა ნინუა |
| განათება | გოჩა გიორგაძისა |
| მუსიკალური ასისტენტი | ნიალა გოძიაშვილი |
| რეჟისორის თანაშემწე | ციცინო გვაზავა |
| დადგმის ხელმძღვანელი | რობერტ სტურუა |
| ვიდეო პროექცია და ხმის მონტაჟი | ელენე მურჯიკნელისა |
| საუნდ დიზაინი | ეკა ჭაბაშვილისა |
| ხმის ოპერატორი | გია ზუბაშვილი |

**მონაწილეობენ რუსთაველის თეატრის მსახიობები:**
ლელა ალიბეგაშვილი, ლელა ახალაია, ნათია კვაშალი, ნინო მაყაშვილი, რუსუდან მაყაშვილი, გაგი სვანიძე, ქეთი სვანიძე, ბექა სონღულაშვილი, ბაჩო ჩაჩიბაია, გეგა ჩხაიძე, ქეთი ხიტირი, ლაშა ჭუხარაშვილი

და **გიორგი ალექსიძის სახელობის თბილისის თანამედროვე ბალეტის სოლისტი**
ნათია ბუნტური

**კოსტიუმები შეიკერა და დეკორაცია დამზადდა რუსთაველის თეატრის საამქროებში**

**პრემიერა შედგა 2016 წლის 20 აპრილს**

**თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი რობერტ სტურუა**

SHOTA RUSTAVELI STATE DRAMA THEATER

GIORGI ALEKSIDZE FOUNDATION FOR THE DEVELOPMENT OF CONTEMPORARY CHOREOGRAPHY

400 SHAKESPEARE 400

# SHAKESPEARE. LOVE

## A CHOREOGRAPHIC FANTASY

Audio recordings used in the performance: Shakespeare's sonnets read by SIR JOHN GIELGUD and ALAN RICKMAN

Music used in the performance: W.A. MOZART and JOHN CAGE

Compositions by John Cage are performed by NINO JVANIA

| | |
|---|---|
| Libretto by | MARIAM ALEKSIDZE and ROBERT STURUA |
| Choreography by | MARIAM ALEKSIDZE |
| Set and Costumes Design by | ANNA NINUA |
| Lighting by | GOCHA GIORGADZE |
| Music Assistant | NIALA GODZIASHVILI |
| Assistant Director | TSITSINO GVAZAVA |
| Stage adaptation guided by | ROBERT STURUA |
| Video projection and sound editing by | ELENE MURJIKNELI |
| Sound design by | EKA CHABASHVILI |

Cast of Rustaveli Theater actors:

LELA ALIBEGASHVILI, LELA AKHALAIA, NATIA KVASHALI, NINO MAKASHVILI, RUSUDAN MAKASHVILI, GAGI SVANIDZE, KETI SVANIDZE, BEKA SONGHULASHVILI, BACHO CHACHIBAIA, GEGA CHKHAIDZE, KETI KHITIRI, LASHA JUKHARASHVILI

and soloist of Giorgi Aleksidze Tbilisi Contemporary Ballet

NATIA BUNTURI

The costumes and stage decoration were made at the Rustaveli Theater workshops

THE PREMIERE TOOK PLACE ON 20 APRIL 2016

Rustaveli Theater Artistic Director ROBERT STURUA

AND YET BY HEAVEN, I THINK MY LOVE AS RARE,
AS ANY SHE BELIED WITH FALSE COMPARE.

ნატიფი, ქველი, გულმართალი, – ვამგზიდი გუშინ,
ნატიფი, ქველი, გულმართალი, – ვიტყვი მარდჟამს,
ეს სამი სიტყვა ჩამეგზეჯდა ანთეგზულ გულში,
და ლექსიც ჩემი ამ სამ მცნეგას უდგას დარაჯად!

მაგრამ მე და შენ ხომ ერთი ვართ, არ გავყოფილვართ,
მაგ, მისი სატრფო, მეგობარო, კვლავ მე ვყოფილვარ.

SO LONG AS MEN CAN BREATHE, OR EYES CAN SEE,
SO LONG LIVES THIS, AND THIS GIVES LIFE TO THEE.

## ყველა სიძველე, მევიზარო, როდი ძველდება.

**უილიამ შექსპირი**

დიდი ინგლისელი დრამატურგისა და პოეტის უილიამ შექსპირის გარდაცვალებიდან 400 წელი გავიდა. სახელოვნებო და ინტელექტუალური სამყარო ოთხი საუკუნეა წერს, დგამს, იკვლევს, მსჯელობს და სწავლობს დიდი დრამატურგის შემოქმედებას მთელ მსოფლიოში. დღემდე აქტუალური რჩება თემები და პრობლემები, რომელიც ასახულია შექსპირის ტრაგედიებსა თუ კომედიებში, სონეტებსა და ისტორიულ პიესებში.

საქართველოში შექსპირის შემოქმედების თარგმნის, შესწავლისა და სცენური ინტერპრეტაციის მდიდარი ტრადიციაა. ამ მხრივ გამორჩეულია რუსთაველის თეატრი. შექსპირის პიესების დადგმას განსაკუთრებული ადგილი უკავია რუსთაველის თეატრის და ქართული შექსპირიანას ისტორიაში, მათ შორის აღსანიშნავია რობერტ სტურუასეული ინტერპრეტაციები მთელ მსოფლიოში, რომელსაც თამამად შეიძლება ეწოდოს „სტურუას შექსპირის სამყარო“. სწორედ ამ სახელწოდების საგანმანათლებლო-სახელოვნებო და სამეცნიერო პროექტების ციკლით და რობერტ სტურუასა და მარიამ ალექსიძის ერთობლივი წარმოდგენით – „შექსპირი. სიყვარული“ უერთდება რუსთაველის თეატრი დიდი დრამატურგის გარდაცვალებიდან 400 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო თარიღს, რომელსაც 2016 წელს მთელი ცივილიზებული მსოფლიო სახელოვნებო და სამეცნიერო ღონისძიებებით აღნიშნავს.

**დავით მაზიაშვილი**
*ფილოლოგიის დოქტორი,*
*პროფესორი*

„ჰამლეტი“
*HAMLET*
რეჟისორი – რ. სტურუა
DIRECTOR – R. STURUA
2001

„რიჩარდი III“
*RICHARD III*
რეჟისორი – რ. სტურუა
DIRECTOR – R. STURUA
1979

„ჰამლეტი“
*HAMLET*
რეჟისორი – დ. ალექსიძე
DIRECTOR – D. ALEKSIDZE
1960

„ჰამლეტი“
*HAMLET*
რეჟისორი – კ. მარჯანიშვილი
DIRECTOR – K. MARJANISHVILI
1925

„ჰამლეტი“
*HAMLET*
რეჟისორი – კ. მარჯანიშვილი
DIRECTOR – K. MARJANISHVILI
1925

## COUNTING NO OLD THING OLD.
## WILLIAM SHAKESPEARE

Four hundred years have passed since the death of the great English playwright and poet William Shakespeare. For four centuries, the artistic and intellectual society throughout the world has been writing, staging, researching, discussing and studying the works of the Great Bard. The themes and problems of Shakespeare's tragedies and comedies, sonnets and historical plays remain topical to this day.

Georgia has a rich tradition of translating and studying Shakespeare's works. Rustaveli Theatre stands out in this respect. Staging Shakespeare's plays has a special place in the history of Rustaveli Theatre and Georgian Shakespeariana, and of special note among them are Robert Sturua's interpretations all over the world that can easily be called „Sturua's world of Shakespeare". It is with the series of art education and academic project of this title as well as Robert Sturua's and Mariam Aleksidze's joint performance *Shakespeare.Love* that Rustaveli Theatre joins the marking of the 400th anniversary of the great playwright's death commemorated in 2016 by the civilized world by holding artistic and academic events.

DAVID MAZIASHVILI
*Doctor of Philology, Professor*



„მეფე ლირი"
*KING LEAR*
რეჟისორი – რ. სტურუა
DIRECTOR – R. STURUA
1979

# გიორგი ალექსიძის სახელობის თანამედროვე ქორეოგრაფიის განვითარების ფონდი

2011 წელს მარინა, ნინო, დიმიტრი, ირინე, ანა და მარიამ ალექსიძეებმა გიორგი ალექსიძის სახელობის თანამედროვე ქორეოგრაფიის განვითარების ფონდი დააფუძნეს.

გიორგი ალექსიძის ქორეოგრაფიული მემკვიდრეობის შენარჩუნება, მომავალი თაობებისათვის მისი გაზიარება და პოპულარიზაცია ფონდის მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ასევე ფონდის მიზანია საქართველოში თანამედროვე ბალეტის განვითარება და პოპულარიზაცია; ისეთი პროექტების განხორციელება, რომელიც  მოქმედ ქორეოგრაფებს და შემსრულებლებს საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენაში ხელს შეუწყობს.

ფონდი გეგმავს პროფესიონალი მოცეკვავეებისათვის თანამედროვე ცეკვის, ცნობილი პედაგოგებისა და ქორეოგრაფების მასტერ-კლასების ჩატარებას. მიზნად ისახავს საბავშვო და სოციალურ პროექტებს. გიორგი ალექსიძის სახელობის ფონდი თანამედროვე ცეკვის სამხრეთკავკასიური ფესტივალის პარტნიორია, რომლის ფარგლებშიც მუდმივად ტარდება მასტერ-კლასები და უორკშოპები თანამედროვე ცეკვასა და ქორეოგრაფიაში.

ფონდის თავმჯდომარემ და ქორეოგრაფმა მარიამ ალექსიძემ საფუძველი ჩაუყარა პროექტს „ფანტაზია ქართული ფოლკლორის თემაზე“.

ქართული ბალეტის განვითარების ეს ტრადიცია დააფუძნა ვახტანგ ჭაბუკიანმა და ქართულ თემატიკაზე დადგა სპექტაკლები „მთების გული“, „სინათლე“, „გორდა“, „დემონი“ და სხვა... გიორგი ალექსიძემ გააგრძელა ეს ტრადიცია და ქართული ბალეტები განსხვავებული, თავისებური ხედვით წარმოგვიდგინა. ამ მიმდინარეობამ ჩამოაყალიბა ერთგვარი ლაბორატორია, რადგან  სპექტაკლების შექმნაში თანამედროვე ქართველი კომპოზიტორები და მხატვრებიც მონაწილეობდნენ. ასე შეიქმნა ბალეტები „დალი და მონადირე“, „ბერიკაობა“, „გურული სიმღერები“, „მედეა“, „ამორძალები“, „ფიროსმანი“, „დიპლიპიტო“, „დემონი“ და სხვა.

მარიამ ალექსიძისა და ქართველი ხელოვანების მიერ ხუთი ქართული სპექტაკლი დაიდგა. 2009 წელს გალაკტიონის პოეზიის მიხედვით სპექტაკლი „დოვინ-დოვენ-დოვლი“ განხორციელდა, რომელიც გიორგი ალექსიძის ხსოვნას მიეძღვნა. 2011 წლიდან კი უკვე ფონდის ეგიდით დაიდგა სპექტაკლები: „აჭარპანი“ აფხაზური ფოლკლორის თემაზე, „ალვა“ – ხევსურულ მითზე დაყრდნობით, რუსთაველის თეატრთან ერთობლივად „ჰარირა“, ქორეოგრაფიული წარმოდგენა ჯანსუღ კახიძის სიმღერებზე და „გურჯი-ხათუნი“ – დათო ტურაშვილის რომანის მიხედვით იოსებ ბარდანაშვილის მუსიკაზე.

# GIORGI ALEKSIDZE FOUNDATION FOR THE DEVELOPMENT OF CONTEMPORARY CHOREOGRAPHY

In 2011, Marina, Nino, Dimitri, Irine, Anna and Mariam Aleksidze established Giorgi Aleksidze Foundation for the Development of Contemporary Choreography.

Keeping Giorgi Aleksidze's choreographic legacy, sharing it with future generations and promoting it is an important task of the Foundation.

The Foundation's goal is also the development and promotion of contemporary Georgian ballet; implementation of projects that help active choreographers and dancers unlock their potential.

The Foundation is planning to organize master classes by famous contemporary dance teachers and choreographers, implement social projects and projects for children. The Foundation is a partner of South Caucasus Contemporary Dance Festival which regularly offers master classes and workshops in contemporary dance and choreography.

The Foundation's Chairwoman, choreographer Mariam Aleksidze launched a project entitled Fantasy on the Georgian Folklore Theme. Vakhtang Chabukiani started this tradition of developing the Georgian ballet, staging ballets based on the Georgian theme, such as *Heart of the Mountains, Light, Gorda, The Demon* and others. Giorgi Aleksidze continued this tradition and presented Georgian ballets through his own, different

მარიამ ალექსიძე
MARIAM ALEKSIDZE

vision. This process established a kind of laboratory since contemporary Georgian composers and artists also participated in the creation of these performances. This is how *Dali and a Hunter, Berikaoba, Gurian Songs, Medea, The Amazons, Pirosmani, Diplipito, The Demon* and others were created.

Mariam Aleksidze staged five Georgian ballets in cooperation with Georgian artists. In 2009 *Dovin-Doven-Dovli* based on the poetry of Galaktion was staged – in memory of Giorgi Aleksidze. In 2011, this time under the aegis of the Foundation, the following performances were staged: *Acharpani*, based on the theme of the Abkhazian folklore, *Alva*, based on Khevsur myths, in cooperation with Rustaveli Theater, *Harira*, a choreography based on Jansugh Kakhidze's songs and *Gurji-Khatun*, based on Dato Turashvili's Novel.

## სპექტაკლის შესახებ

სპექტაკლის სიუჟეტური მხარე შექსპირის პიესებზე დაყრდნობითაა აგებული, რომელიც ერთგვარ ქორეოგრაფიულ ალუზიებსა და ფანტაზიას წარმოადგენს და შექსპირისეულ პერსონაჟებს დრამატურგიული გადაწყვეტით აერთიანებს. მხატვრული ფორმით სპექტაკლი განსხვავებულია. შექსპირისეულ სიუჟეტებს მსახიობები არა სიტყვით, არამედ სხეულის ენით გაითამაშებენ, ყველასათვის ნაცნობ შექსპირის პერსონაჟებს, სცენაზე თანამედროვე ცეკვის ენით აცოცხლებენ და ადამიანის ბუნების, ხასიათის საიდუმლოებების, მისი სულის მდგომარეობის გამოვლინებას, სხეულით ფიქრისა და სხეულის ფიზიკის საშუალებით ახერხებენ... დრამატული თეატრის მსახიობებისა და ბალეტის მოცეკვავის ქორეოგრაფიულ გარდასახვას, მუსიკოსის ცოცხალ შესრულებას, წარმოდგენის ვერბარულ ნაწილს – სონეტებს, რომელთა მელოდიურობასაც მსახიობები სხეულის პლასტიკის საშუალებით აჟღერებენ, სიყვარულის ირგვლივ სინთეზური სანახაობა აერთიანებს.

MY MISTRESS' EYES ARE NOTHING LIKE THE SUN

## ABOUT THE PERFORMANCE

The storyline of the performance is based on various plays by Shakespeare, representing certain choreographic allusions and fantasy and dramaturgically uniting Shakespearean characters. The performance has a distinctive artistic form. The actors will play out Shakespearean plots using body language rather than words, animating on stage, through the language of contemporary dance, the Shakespearean characters familiar to everyone, expressing human nature, mystery of temper, state of mind by means of thinking with the body and body physics. The choreographic transformation of drama theater actors and a ballet dancer, the live performance by a musician, the verbal part of the choreographic performance – the sonnets whose melodiousness is expressed by actors through the plastique of their bodies are united by a synthesis of a spectacle staged around love.

თუმც ჩემი გრძნობა გარეგნულად გავდა წვალებას,
ვერ ედირსება დრო ტრფიალის გარდახვალებას.

ლელა ალიბეგაშვილი,
ნათია ბუნტური
LELA ALIBEGASHVILI,
NATIA BUNTURI

## მუსიკის?! ნამდვილი ტრფიალია სიმღერის ხმაში!

## MUSIC TO HEAR, WHY HEAR'ST THOU MUSIC SADLY?

მუსიკის ხმების გამონაგებ რატომ განადვლებს,
როცა თავად ხარ შენ მუსიკის გამომსახველი!

WHOSE SPEECHLESS SONG BEING MANY, SEEMING ONE,
SINGS THIS TO THEE: 'THOU SINGLE WILT PROVE NONE.'

რობერტ სტურუას სპექტაკლის უილიამ შექსპირის „იულიუს კეისარი“ სადადგმო რეპეტიციებს პირველივე დღიდან ვესწრებოდი, ვისმენდი როგორ ხსნიდა ბატონი რობერტი ადამიანის ბუნების ძალიან კონკრეტულ გამოვლინებებს და ამავდროულად ძალდაუტანებლად ღრმა ფილოსოფიურ პლასტებში გადავყვადით. ყოველ რეპეტიციაზე ჩემთვის რაღაც მნიშვნელოვანი და ჯადოსნური ხდებოდა.. სწორედ ამ პერიოდში ბატონმა რობერტმა მომაწოდა აზრი, რომ დამედგა სპექტაკლი სიყვარულის სხვადასხვა გამოვლინებებზე, რაც რასაკვირველია აღფრთოვანებით ავიტაცე და წარმოვიდგინე, რომ ეს სპექტაკლი შექსპირის მიხედვით უნდა დამედგა. სწორედ ბატონი რობერტის იდეა იყო, რომ „შექსპირი. სიყვარული“ მიგვეძღვნა დიდი დრამატურგის გარდაცვალებიდან 400 წლის საიუბილეო თარიღისათვის.

ეს წარმოდგენა, ჩემ მიერ აქამდე დადგმულ ყველა სპექტაკლებზე მეტად თამამი გამოწვევა იყო... საქართველოში შექსპირის დადგმის მდიდარი ტრადიცია არსებობს: დრამატული სპექტაკლები, ბალეტები, ოპერები... სპექტაკლში „შექსპირი. სიყვარული“ გაერთიანდა თეატრი, ცეკვა, მუსიკა და პოეზია. ჩემი მცდელობა და მისწრაფება იყო, რომ კონკრეტული განცდები და მდგომარეობები აბსტრაქტულ ფორმაში მომექცია და შექსპირის შემოქმედებისგან განცდილი ქორეოგრაფიული ალუზიები, ფანტაზია და ფიქრი, სხეულით გამომეხატა. ამაში ორი დიდი კომპოზიტორი ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი და ჯონ კეიჯი დამეხმარა. მოცარტის მუსიკა მთელ სამყაროს მოიცავს და აუხსნელს გამოხატავს, ხოლო ჯონ კეიჯი გვიბიძგებს ყური დავუგდოთ სამყაროში არსებულ ხმებს და სიჩუმეს. მისი ნაწარმოებებით პრეპარირებული ფორტეპიანოსათვის პიანისტი ნინო ჟვანია სივრცის შეგრძნების უკიდეგანო შესაძლებლობების აღქმის უნარს გვანიჭებს. სპექტაკლში გამოვიყენეთ დიდი ბრიტანელი მსახიობების სერ ჯონ გილგუდისა და ალან რიკმანის მიერ წაკითხული შექსპირის სონეტების აუდიო ჩანაწერები. სონეტების ხაზი, კიდევ მეტად განზოგადოებული, სიმბოლოებით დატვირთული, წაკითხული ტექსტის ექსპრესიის, განწყობის და მელოდიურობის გამომხატველია.

სცენაზე მოთავსებული ზარდახშა, თითქოს მთელი კაცობრიობის საიდუმლოებას იტევს. მდიდარი ბუნებით დაჯილდოვებული რუსთაველის თეატრის მსახიობი ლელა ალიბეგაშვილი, სპექტაკლში, როგორც შექსპირი – შემოქმედი, ზარდახშიდან შობს თავის პერსონაჟებს, მართავს მათ ბედ-იღბალს, გრძნობებსა თუ განცდებს. მას, როგორც ბედისწერა, თან სდევს ბალეტის მსახიობი ნათია ბუნტური, გიორგი ალექსიძის სახელობის თბილისის ახალბედა თანამედროვე დასის მშვენება.

ანა ნინუას სცენოგრაფია მსუბუქი და გამჭირვალეა. გადაჭიმული სიმებისგან აგებული სივრცე, ისევე, როგორც მუსიკა, შექსპირისეულ გმირებს სივრცესა და დროში მიიზიდავს და ამავე დროს ურთიერთკავშირების ერთგვარ ვაკუუმში აქცევს.

სამყაროს, დროის, ადამიანის სულის, ფიზიკის, ხელოვნების, სიყვარულის საზღვრები განუსაზღვრელია. რუსთაველის თეატრის ნიჭიერმა, ენერგიულმა, მშვენიერმა მსახიობთა გუნდმა, შემოქმედებითმა და ტექნიკურმა ჯგუფმა ამ ქორეოგრაფიული წარმოდგენით ვეცადეთ ადამიანის ძირითადი მამოძრავებელი ძალა, მუსიკის, დრამატურგიისა და ქორეოგრაფიის ძირითადი არსი – სიყვარული, კვლავ, მაგრამ ახლა უკვე ახლებური მხატვრული ფორმითა და ფანტაზიით წარმოგვეჩინა.

ამ შესაძლებლობისთვის კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი პროექტის მხარდამჭერებს, პარტნიორებს, რუსთაველის თეატრს და განსაკუთრებულად ბატონ რობერტ სტურუას.

მარიამ ალექსიძე

ანა ნინუა, რობერტ სტურუა, მარიამ ალექსიძე
ANNA NINUA, ROBERT STURUA, MARIAM ALEKSIDZE

I attended the rehearsals of William Shakespeare's play *Julius Caesar* staged by Robert Sturua from the very first day, listening to how Mr. Sturua explained very specific manifestations of human nature while effortlessly taking us into the depths of philosophy. Something important and magical for me happened at each rehearsal... During this period Mr. Sturua gave me an idea to stage a performance about various expressions of love. Of course, I enthusiastically embraced it and decided that I would base this performance on Shakespeare's works. It was Mr. Sturua's idea to dedicate *Shakespeare.Love* to the commemoration of the 400th anniversary of the great playwright's death.

This performance has been the most daring challenge compared to all the performances I staged before... Georgia has a rich tradition of staging Shakespeare: dramas, ballets, operas... The *Shakespeare.Love* performance unites theater, dance, music and poetry. My effort and aspiration was aimed at transforming concrete emotions and states into an abstract form and have the body express the choreographic allusions, fantasy and thoughts experienced through Shakespeare's works. Two great composers – Wolfgang Amadeus Mozart and John Cage – helped me achieve this. Mozart's music embraces the whole world, expressing the inexplicable, while John Cage prompts us to listen to the sounds and the silence of the world. With his works for prepared piano, pianist Nino Jvania lends us the ability to perceive the limitless possibilities of feeling the space. In the performance we used audio recordings of Shakespeare's sonnets read by great British actors Sir John Gielgud and Alan Rickman. The line of sonnets, even more generalized and full of symbols, conveys the expression, mood and melodiousness of the read texts.



The jewelry box placed on the stage seems to store the secrets of the entire human kind. Endowed with rich inner world, Rustaveli Theater actress Lela Alibegashvili, as Shakespeare-creator, produces her characters from the jewelry box, controls their fate, feelings and emotions. Ballet dancer Natia Bunturi – the jewel of the newly established Giorgi Aleksidze Tbilisi Contemporary Ballet – follows her like fate.

Anna Ninua's scenography is light and transparent. The space created with drawn out strings, like music, brings in the Shakespearean characters through space and time and, at the same time, places them into a certain vacuum of mutual connections.

No boundaries are defined for universe, time, human soul, physics, art, love. With this choreographic performance, the talented, energetic, beautiful team of actors of Rustaveli Theater, the creative and technical group, tried to yet again present the main driving force of a human being, the essence of music, dramaturgy and choreography – love – but this time using a new artistic form and fantasy.

I would like to once again thank the supporters and partners of this project, Rustaveli Theater and especially Mr. Robert Sturua for this opportunity.

MARIAM ALEKSIDZE

ᲐᲜᲐ ᲜᲘᲜᲣᲐᲡ ᲔᲡᲙᲘᲖᲔᲑᲘ

SKETCHES BY ANNA NINUA

მზეს ბეზერია, მაგრამ მიწას მუდამ დაჰხარის,
ჩემი ტრფიალიც ძველია და მუდამ ახალი.

PITY THE WORLD, OR ELSE THIS GLUTTON BE,
TO EAT THE WORLD'S DUE, BY THE GRAVE AND THEE.

საით გამასწრებ, რომ ოცნებით ვერ დაგეწიო,
ჩემი ოცნებაა ხომ მარადის გიდგას დარაჯად.

ჩემდენ სიხარულს ქვეყანაზე ნეტავ ვინ იტანს: _
შენთან ყოფნითაც ვნეტარებ და მოლოდინითაც.

რადგან მიწა ვარ, ცად ვერ ავალ, სევდით დაღლილი,
რადგან წყალი ვარ, წყლად დავრჩები, ცრემლად დადვრილი.

FOR THOU NOT FARTHER THAN MY THOUGHTS CANST MOVE,
AND I AM STILL WITH THEM, AND THEY WITH THEE;

ამბობენ: შექსპირი მწვერვალია, რომლის ფერდობები მოფენილია მსახიობებისა და რეჟისორების გვამებითო. ვინ იცის, იქნებ ქორეოგრაფს გაუღიმოს ბედმა.

ROBERT STURUA

They say: Shakespeare is a summit whose slopes are covered with the corpses of actors and directors. Who knows, perhaps a choreographer will have better luck.

ROBERT STURUA

ფოტო გარეკანზე თინა კაზახიშვილისა
On the cover photo by TINA KAZAKHISHVILI

დიზაინი ბესიკ დანელია
Designed by BESIK DANELIA

ბროშურაში გამოყენებულია
**რეზო თაბუკაშვილის**
თარგმნილი უილიამ შექსპირის სონეტების ფრაგმენტები

Translation of excerpts
from William Shakespeare's sonnets:
REZO TABUKASHVILI

**ბროშურაში გამოყენებულია**
**თამარ ჯიბუტის, თინა კაზახიშვილის, ოლეგ ხაიმოვისა**
**და რუსთაველის თეატრის მუზეუმის ფოტოები**

The brochure features photos by
Tamar Jibuti, Tina Kazakhishvili, Oleg Khaimov and photographic material from
the archive of Rustaveli Theater Museum

© 2016, გიორგი ალექსიძის სახელობის თანამედროვე ქორეოგრაფიის განვითარების ფონდი
GIORGI ALEKSIDZE FOUNDATION FOR THE DEVELOPMENT OF CONTEMPORARY CHOREOGRAPHY


Millennium Shakespeare
400

20,21.04.2016

გიორგი ალექსიძის სახელობის თანამედროვე ქორეოგრაფიის განვითარების ფონდი
GIORGI ALEKSIDZE FOUNDATION FOR THE DEVELOPMENT OF CONTEMPORARY CHOREOGRAPHY